№ 35
პარასკევი, 17 თებერვალი 1895

1877—1895

# ივერია

№ 35
პარასკევი, 17 თებერვალი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ივერია“

გამოვა 1895 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

სატელეგრაფო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## წლიური საზოგადო კრება.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების 11 §-სა, დანიშნულია 19 თებერვალს, დილის 11-ს საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდგან 1893 წლ. 1 ენკენისთვემდე 1894 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის და წარსულის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1 ენკენისთვიდგან 1894 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. და მთელის 1895 წლისა.

4) მოხსენება გამგეობისა თავ. ივ. გ. მაჩაბლის მიერ საზოგადოების სახელზედ ბანკში შეტანილის ბრონსის პრემიის თანხის მოხმარების შესახებ.

5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

---

ქუთაისის წიგნების გამომცემელი ამხანაგობის **წლიური კრება** დანიშნულია 25-ს თებერვალს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1) 1893 წლის ანგარიში.

2) არჩევა მმართველობის წევრებისა.

3) არჩევა სარედაქციო და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

4) მიღება ახალის წევრებისა.

5) 1894 და 1895 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

6) მოხსენება სხვა-და-სხვა კითხვებისა.

---

# ახალი ამბავი

*** დღეს, 17 თებერვალს, ტფილისში ,,ივერიის“ ხელის მომწერლებს ურიგდებათ წლიური ანგარიში ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მოქმედებისა 1-ლ ენკენისთვიდგან 1893—1 ენკენისთვემდე 1894 წლისა.

*** პარასკევს, 17 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა. კრებას კვლავ ფილოქსერის საქმის მოწყობის შესახებ ექმნება სჯა-ბაასი. ამ კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

გაზ. «პეტერბურგსკი ლისტოკ».-ი იუწყება, რომ მარტში ფინანსთა სამინისტროში უნდა განხილულ იქმნას ახალი პროექტი, რომლითაც განზრახულია ღვინოს ბაჟი დაედოს.

*** სომხურს გაზეთს ,,არძაგანქს“ აუწყებენ, რომ სოფ. პრივოლნოეს მახლობლად, ლორიის საბოქაულოში, სპილენძის ახალი მადანი გამოჩენილა.

*** პეტერბურგიდგან ატყობინებენ დეპეშით ტფილისის რუსულს გაზეთებს, რომ გამოიცა კანონი შესახებ იმ მამულისა, რომელიც თავ. ზ. ერისთავმა საჩუქრად მოუტანა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას.

*** ,,არძაგანქს“ სწერენ დეპეშით ბათუმიდგან, რომ 14 თებერვალს სომეხთა კათალიკოსი გაემგზავრა ნოვოროსიისკისაკენ. კათალიკოსი სრულიად ჯან-საღად არის. ხალხი ბევრი დაესწრო წირვის დროსაო.

*** იმ საქველ-მოქმედო ბაზარმა, რომელიც მთავარ-მართებლის მეუღლემ გამართა სრა-სასახლეში, ამ სამს დღეში ექვსას თუმნამდე მოიტანა შემოსავალი.

*** სოფ. ბორჩხა, (ქოროხის ხეობა): როგორც სხვაგან საქართველოში, აგრეთვე ჩვენშიაც კარგი დარებია, აქაურს გორებზედ სექტემბრის აქეთ თოვლი არ გვინახავს; საქონლის საყოფი საკვები ფუხრებს არა ჰქონდათ და ამ ზამთარში ღმერთმა მოჰხედათ ამათ, მთელი დღე საქონელი ტყეში ჰბალახობს. იმდენად თბილა აქ, რომ ყოველ-ნაირის ყვავილის შოვნა შეგიძლიანთ. საადრეო ხეხილმაც ყვავილები გამოისხა და კიდევაც გასცვივდა. წელს ხილის იმედი არ უნდა გვქონდეს, რადგან ან თებერვლის სიცივე დასწვავს და ან მარტისა. ამ ჟამად სოფლებში ძალიან მოდებულია ყვავილი; სახლი არ მოიპოვება ისეთი, რომ ორი და სამი დიდი თუ პატარა, ავადმყოფი არ იწვევს. უფრო ბავშვებს ჰკიდებს ხელს და ბევრიც იმსხვერპლა. თუმცა შარშან ოლქის ფერშალმა დაიარა სოფლები და აუცრა, მაგრამ აცრა ვერას გახდა. აქაურმა ქართველმა მაჰმადიანებმა არ იცოდნენ ყვავილის დარიდება, მაგრამ ახლა-კი იხიზნებიან.

*** ცხინვალი: გაიგეს თუ არა ცხინვალელებმა ბ. გუგუშვილის გადაყვანა (რამდენად მართალია არ ვიცი) გაუსვეს დუქნებისა და სახლების მტვრევას ხელი. 11-ს გასტეხეს ორი დუქანი ერთი ბროძლისა (სლესარია) და მეორეც მესაათისა, პირველიდგან გაიტანეს რამდენიმე რევოლვერი, თოფები და რაც-კი ხელთ იგდეს. მეორიდგან-კი ჯერ არ ვიცით, რა არის გატანილი, აქედგან აბრძანებულან დგვრისში და ორი სახლის აკლებაც იქა სდომებიათ. ერთი აუკლიათ კიდეც და მეორეს-კი ჩქარა გაუგია (ეს სახლიც იმავე ბროძლისა იყო) და გამოჰხმიანებია. ერთს განაპირა საბძელში ცეცხლი დაუნთიათ (უვარგისი თოფის კონდახებით), აურჩევიათ, რაც უვარგისი რამ ყოფილა, იქ დაუყრიათ, რაც არა თან წაუღიათ. მეორე დღით სამის კაცის კვალი ჰნახეს საბძლამდის, იქიდგან ისე დააბნიეს გზა და კვალი, რომ ველარა გაგიო რა პოლიციამ.

*** იქიდგანვე: ჩვენსკენ ათას ნაირი ავადმყოფობაა, რომელიაც ხალხის ზარალიც მოაქვს. ამინდები 8 თებერვლამდის ზაფხულისა იყო, რვიდგან-კი დაგვიზამთრდა.

გუშინ-წინდელ ქარიშხალის გამო ერთი სახლი, სხელდობრ ბერაძინის, ისე დაზიანებულა, რომ მდგმურებს შიშის ზარსა ჰგვრის. ურიგო, არ იქნება დაათვალიერებდეს ქალაქის (ტეხნიკი). ეს სახლი ჯორჯაძის ღვინის საწყობის ახლოა.

---

## კორესპონდენცია.

**სოფ. ბორჩხა**, (ქოროხის ხეობა). არა ეშველა-რა, ბოლო არ მოეღო სოფლელის დაშოშმინება-დაწყნარებას იმის შესახებ, რომ ტყის მცველები არ გვჭირია და ტყე როგორც აქამდე გვიხმარია, კიდევ ისე გვახმარეთო. თუმცა ამ საქმის გამო რამდენჯერმე გაჰგზავნეს ამათ თავიანთი დეპუტაციები, სადაც ჯერ იყო და კარგი ძალი ფულებიც მიიღეს ფუხრებიდგან მოთავე კაცებმა, მაგრამ, როგორცა სჩანს, ამათი საჩივარი არ დააკმაყოფილეს, ტყის მცველები ისევ ისე ბრძანებისა დაგვარად ასრულებენ თავიანთს მოვალეობას. როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, ამ დეპუტაციებმა რამდენიმე ასი მანეთი მიიღეს ფუხრებიდგან ამ დავის მოგებისთვის და ბევრი იარეს ქუთაისსა და ტფილისს შუა, მაგრამ მაინც არა ეშველა-რა. ყველა, ვისაც-კი გული შესტკივა ამათზედ, დიდი თუ პატარა, უფროსი თუ უმცროსი იმას ურჩევს საწყალს ხალხს, რომ ამ დავას თავი დაანებონ, მაგრამ, როგორც ეტყვით ამას, ისინი, ე. ი. დეპუტაციები, მაშინვე არდაგნის ოლქზედ მიგითითებენ, სადაც იმისთანა ფუხარა არ მოიპოვება თურმე, რომ თითოეულს ასიდგან ხუთას მანათამდე ოქმი არ ჰქონდეს ტყის მცველისაგან შედგენილი. ასე, რომ ეს მესამეთაა, ფუხრებიდგან ფულები იკრიბება დეპუტაციისათვის და ძლივს ამ ორის კვირის წინად მოათავეს მოკრება ფულებისა. ახლა, როგორც გავიგეთ, ეს დეპუტაციები ქუთაისში არიან თავმოყრილი და იქიდგან პეტერბურგს აპირებენ წასვლას.

როდესაც ეს დეპუტაციები გამოისტუმრეს, აჭარიდგან თითქმის ერთის დღის სავალზედ გააცილეს სოფლელებმა და ეხვეწებოდნენ, საქმისთვის როგორმე ბოლო მოეღოთ. როგორც გავიგე სანდო წყაროდგან, თითო დეპუტატს 300—400 მანათამდის აქვს მიღებული ამ მოგზაურობისათვის. ახლა არ აძლევენ თურმე იმათ პეტერბურგში წასვლის ნებას და ჰპირდებიან, აქვე გაურიგონ ფუხარას საქმე. სწორედ მოგახსენოთ, დიდი სამადლო საქმე იქნება, რომ აქვე მოეღოს ამ დავას ბოლო და ამითი ეღირსოს ფუხარას, რომ დეპუტაციისთვის მისაცემი ფული თავიდგან აიცილოს. ამათში იმისთანა საწყლებიც ურევიან, რომელთაც სახელმწიფო ხარჯის გარდახდის შეძლებაც არა აქვს და ამ გაუთავებელისა და ბოლო მოუღებელის საჩივრისთვის ფულის გაღებამ ხომ წელში მოღუნა საწყალი ხალხი. ვისაც არ უყურებია ამ ფულების მოკრების დროს, ის არ დაიჯერებს, თუ რა სასტიკად აგროვებენ ამ ფულებს: ეს ყველა ჰხდება ღამით და ჩუმად. ვინც თავისს დროზედ ვერ მისცემს ამ ფულებს, იმას სჯულისა და ქვეყნის მოღალატეთ ჰსთვლიან, უნდა თუ არა, და აქვს თუ არა შეძლება, მაინც თავისს დროზედ უნდა ჩააბაროს ხსენებული ფული საქმის მოთავეთ. როგორ სიმარჯვესაც ამ ფულების მოკრების დროს იჩენენ, თუ საქმის გაკეთებაშიაც ასეთი სიმარჯვე გამოიჩინეს, მაშინ ფუხრის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

ამას წინად აქ გარდაიცვალა ერთად-ერთი პატიოსანი და გაგებული კაცი, იბრაიმ-აღა კერაშიძე. ცხონებულს იბრაიმ კერაშიძეს დიდი სამსახური მიუძღოდა ჩვენის ჯარების წინაშე. როდესაც პირველად აქ ამოვიდა გურიის დრუჟინა სინორის დასაკავებლად, მთელი ჰანეთი აჯანყებული იყო და ჭოროხს გაღმა არ უშვებდნენ ჩვენს ჯარს, რადგან ლაზებს ჭოროხი ეგონათ სინორი. ამასთან, ლაზებს ჰქონდათ განდობილი ბორჩხელ მენავეებისათვის, რომ ვინც რუსის ჯარს ჭოროხის გაღმა გაიყვანდა, იმას მოკვლას ჰპირდებოდნენ და სახლის დაწვასაც, მაგრამ იბრაიმ კერაშიძემ მიუხედავად ამ მუქარისა, ერთ ღამეს მთელი გურიის დრუჟინა თავისის ნავით გაიყვანა და ამითი რამდენიმე ასი კაცი დაიხსნა ჭოროხისა და თოფის პირიდგან. როდესაც გაიგეს ჰანებმა, რუსის ჯარი იბრაიმს გამოუყვანიაო, ამისთანა ღალატისათვის აკლებას უპირებდნენ, მაგრამ რა-კი ჭოროხს გაღმა ჯარი გავიდა, ეს აჯანყებული ჰანებიც მალე დაფანტეს და ამითი დაიხსნეს იბრაიმი. იბრაიმ დიდი მოყვარული იყო ქართველებისა; აქ რომ დაენახა ქართველი კაცი, დიდი იყო, თუ პატარა, ათი თუ ოცი, ყველას მასთან უნდა გაეთია ღამე და დიდად ნასიამოვნებს ისტუმრებდა თავისს საყვარელს სტუმრებს. მასთან კერაშიძე უპირველეს მენავედ (რეიზად) ითვლებოდა ჭოროხის ხეობაში; იმას რომ ბადალი არ ჰყავდა, ეს იმითი დამტკიცდა, რომ შარშან ართვინიდგან ნავით რომ წამობრძანდა მემკვიდრე ცესარევიჩი გიორგი ალექსანდრეს ძე, იბრაიმ იყო არჩეული იმათთვის, იმის ნავით წაბრძანდა აჭარის წყლამდის, რომლისთვისაც დიდი მადლობა მიიღო ადგილობრივის ადმინისტრაციისაგან. სწორედ მოგახსენოთ, დიდს დასაკლისად უნდა ჩაითვალოს იმის ნაცნობ ქართველებისათვის ამისთანა კეთილის ქართველ-მაჰმადიანის დაკარგვა.

ივ. ჯაიანი.

---

## სამღვდელოების დღევანდელის მდგომარეობის გამო*).

ყოველს სამრევლოში 20% ისეთი უწყალო ღარიბი აირჩევა, რომელთაც რიგიანმა კრებულმა თვით უნდა მისცეს შემწეობა და თუ თვით კრებული არას მისცემს, გამორთმევით ხომ ვერაფერს გამოართმევს. ჩვენგან აღებულს ორას კომლიანს სამრევლოს ეს 20% უნდა გამოვაკლოთ, დარჩება 160 კომლი. ამისთანა სამრევლოდგან კრებული აიღებს კომლზედ კოდს პურს, ნახევარს კოდს ქერს და ნახევარს ჩაფს ღვინოს. ღვინო ყველა სამრევლოში არ ეძლევათ, მაგრამ სამაგიროდ უეჭველად რასმე აძლევენ. თუნდა არც არას აძლევდნენ, მაინც ჩვენ შევიყვანოთ ანგარიშში, რომ უფრო ცხადად და უნაკლულოდ წარმოვიდგინოთ კრებულთა ნივთიერი მდგომარეობა. ამასთან ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ კრებულისაგან აღებული პური, ქერი და ღვინო დაბალის ხარისხისაა, ასე რომ კოდი პური თუ ფასობს 2 მ. 60 კაპ. კრებული 2 მან. ძლივს გაჰყიდის, აგრეთვე ქერსა და ღვინოსა. მე იმ ფასად ვიანგარიშებ, რომელიც საშუალოზედ ცოტათი მეტიც იყოს.

*) იხ. „ივერია“, № 24

ორას კომლიანი სამრევლო კრებული იღებს: 160 კოდს პურს, ღირს 320 მანეთი, 80 კოდს ქერს, ღირს 80 მანეთი; 80 ჩაფს ღვინოს, ღირს 80 მანეთი. სულ საწესოს შემოსავალი ორას კომლიანის სამრევლოსი შეადგენს 480 მან. რადგანაც ორას კომლიანი სამრევლოები ერთობ ცოტაა. და უფრო ხშირად ას-ორმოცი, ას ოცი და კიდევ სამოც-და-ათ კომლიანი სამრევლოები უფრო ხშირია, ამიტომ აქ ჩაურთოთ ცხრილი ყველა მოხსენებულის სამრევლოს შემოსავლისა.

| კომლთა რაოდენობა. | [illegible] მანეთობ. | საწყისი კოდობით. [illegible] | [illegible] | [illegible] | საწყისის ფასი მანეთობით. პურისა | ქერისა | ღვინისა | [illegible] მანეთობ. | [illegible] მანეთ. | კაპ. | მედავითნე. მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 200 | 300 | 160 | 80 | 80 | 320 | 80 | 80 | 780 | 468 | „ | 156 | „ |
| 140 | 210 | 112 | 56 | 56 | 224 | 56 | 56 | 546 | 327 | 60 | 109 | 20 |
| 120 | 180 | 96 | 48 | 48 | 192 | 48 | 48 | 468 | 280 | 80 | 93 | 60 |
| 100 | 150 | 80 | 40 | 40 | 160 | 40 | 40 | 390 | 234 | „ | 78 | „ |
| 70—90 | 123 | 69 | 35 | 35 | 138 | 35 | 35 | 331 | 198 | 60 | 66 | 20 |

ზემოდ მოყვანილ ცხრილიდგან სჩანს, რომ სამრევლო შემოსავალი ხუთნაირია. მღვდელი იღებს 468 მანეთიდგან 198 მანეთამდე, მედავითნე—156 მან. 66 მანეთამდე. ჩემის აზრით უდიდესი რიცხვი კიდევ არის რამე და უმცირესი-კი სწორედ სიღატაკის მაჩვენებელია. კახეთში არ არის კაცი, რომელიც დადგეს მოჯამაგირედ თავისივე ხარჯით იმ ფასად, რაც მედავითნესა აქვს სამრევლოსაგან შემოსავალი — ცხრილის უკანასკნელს ოთხს სტრიქონში ნაჩვენები, ე. ი. არავინ დადგება თავისის ხარჯით 109 მან. და 20 კაპ. არავინ დადგება მეთქი იმიტომ-კი არა, რომ თავისი ნებაა, ანგარიშის გამო. ერთის მუშაკაცის ჭამა-სმა ღირს დღეში აბაზი. რაც შეადგენს წელიწადში 72 მან. მოუნდება ერთი ხელი ტანისამოსი, რაც ღირს 11 მან., ქუდი და ქალამანი 5 მან., სულ 88 მან. რაღა დარჩება 109 მან. 20 კაპ.? ეს ანგარიში ჩემი კამოგონებული არ გეგონოთ მკითხველო. დღეს დღიური მუშა 30 კაპ. არის დამქირავებლის ხარჯით, ხოლო თავისის ხარჯით 50 კაპ. გახლავთ და ასე მუდამ გარჩევაა თითო აბაზი, ხან სამი შაური. აქ საუფლისწულო მამულებში მუშა თავისის ხარჯით მუშაობს და მუდამ თითო აბაზით, ხან ხუთის შაურით მეტს აძლევენ, ვიდრე სოფლად, სადაც დამქირავებლის ხარჯზედ მუშაობენ. კიდევაც გლეხი მცირე ფასად მუშაობას ჰრჩეობს, თუ მეტად გაჭირვებული არ არის ფულისათვის. დამქირავებელს მუშა აბაზზედ ძვირად უჯდება დღეში მარტო საჭმელ-სასმელზედ. ეს კარგად აქვს შეგნებული მუშას და ამიტომ რჩეობს მცირე ფასსა. აქედგან ცხადად სჩანს, რომ მეორე მედავითნე ნახევარზედ მშიერი უნდა იყოს, თუ სხვა ღონე არა აქვს. ასეც არის. ამიტომ მედავითნენი სოფლად სამუშაოდ დადიან. დღიურის სამუშაოთი გამოდიან, ვისაც შეუძლიან მუშაობა და, ვისაც არ შეუძლიან მუშაობა, ის თუ არა ქურდობს, უნდა მადლობელნი ვიყვნეთ. თუ ამას დავუმატებთ, რომ კრებულს გლეხის კაცისაგან გარჩევითი მოთხოვნილება აქვს, რომ იმან შვილები უეჭველად ოთხ-კლასიანს სასწავლებელში უნდა გამოჰზარდოს, რომ იმას სასულიერო სასწავლებლების შესანახი ბევრა აძევს, გამოვა, რომ კრებულის დღევანდელი მდგომარეობა გაჭირვებულია, განსაკუთრებით იმ კრებულისა, რომელსაც 120—70 კომლი მრევლი ჰყავს და ამისთანა კრებულნი მრავალნი არიან, ბევრად აღემატებიან საზოგადო რიცხვის ნახევარსა.

ამ სტრიქონების დამწერს არავინ დასწამოს, რომ ვითომც მღვდლების უსამართლო მოქმედების მოსარჩლედ გამოვსულიყო. არა, ბატონო! მე მინდა მოგახსენოთ, რომ ახლანდელი მდგომარეობა სამღვდელოთა ფრიად საყურადღებოა. თუ დროზედ ყურადღებას არ მივაქცევთ დიდად მავნებელი შედეგი ექმნება და შემდეგ ძნელად გასასწორებელი. ზემორე ნათქვამიდგან დაინახავდა მკითხველი, რომ საწესოიანად შემოსავალი კრებულთა მომეტებულის რიცხვისა მეტად მცირეა. და თუ საწესო გამოვრიცხეთ, ხომ კრებული შიმშილით სასიკვდილოდ გადადებილი იქმნება. საწესოს გამორიცხვა არ იქმნება და სახის შეცვლა-კი შეიძლება. გურია-სამეგრელოს სამღვდელოება საქორწილო, სანათლობო და სამკვდრო შემოსავლის გარდა კომლზედ ორ მანეთს იღებს. უნდა იქონიოთ სახეში, რომ იქ საქორწილო, სანათლობო და სამკვდრო შემოსავალი ბევრად აღემატება ქართლ-კახეთისას. იქაც ხშირად უარს ეუბნება კრებული საღმრთო მოქმედების შესრულებაზედ თავისს მრევლს, რომ გარდაახდევინოს ღირებული ფასი განსაკუთრებით სამკვდრო. „უნდა გენახათ, მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა, კაცი მომზადებულია მიცვალებული გაასვენოს სახლიდგან, ასი სული მეტია სატირლად შეყრილი და მღდელს ფეხი გაუდგამს, თუ ამდენს არ მომცემთ, არ გაუძლვებიო“. დიაღ, აქ სამღვდელოების საქმე უკედ არის მოწყობილი და ამისთანა შემთხვევა მაინც არ არის გამოლეული და ჩემის ნაცნობის სიტყვით, ძალიან ხშირიც გახლავთ თურმე. გურია-სამეგრელო მისთვის ვახსენე, რომ ჩვენ თუ მოვაწყობთ სამღვდელოების საქმეს, უნდა ვეცადნეთ ისე მოწყობას, აღარა ჰქონდეს ადგილი ზემორე მოყვანილს ნიმუშსა და კიდევ გურია-სამეგრელო იმის მაგალითად გამოგვადგება, რომ იქ ჯამაგირებიც კარგად არის განაწილებული, კრებულს 80—150მ-დე აქვს ჯამაგირი და ეს ისეა განაწილებული, რომ დიდის სამრევლოს კრებულს მცირე ჯამაგირი აქვს და პატარა სამეგრელოს კრებულს 150 მან. სამართალი და სინიდისი მოითხოვს, რომ ეს ჯამაგირები აქაც მრევლის სიდიდ-პატარაობაზედ იყოს შესაფერად განაწილებული. რა თქმა უნდა, რომ კოდოთოს კრებულს შედარებით კონდოლის კრებულთან დიდი ჯამაგირი ეკუთვნის. საწესო უეჭველად ფულად უნდა გამოერთვას მრევლს. კომლზედ 2 მანეთ. 3 მ-დის რომ გამოერთვას და ეს ფული ხაზინიდგან ეძლეოდეს კრებულს საეკკლესიო ფულთან ერთად, მაშინ ყოველ-გვარი უთანხმოება კრებულსა და მრევლს შორის მოისპობა. ეს ფული ისე უნდა გამოერთვას, რომ კრებულის სახელი არ ერქვას, როგორც სკოლის ფულსა ჰქვიან, რაც ძალიან ცუდად ჰმოქმედებს ხალხზედ აკრეფის დროს. ხალხის სკოლაზედ უკმაყოფილების მთავარი მიზეზი ამ ფულის სახელით. მანამ საწესოს ფულად გარდაჰქმნიდნენ საჭიროა, მთავრობამ კრებულთა მდგომარეობას შეღავათი მისცეს. აქ სასულიერო და სამოქალაქო მთავრობანი უნდა შეთანხმდნენ. რა თქმა უნდა, რომ მრევლი უკრებულოდ არ შეიძლება, კრებული კიდევ უჭმელ-უსმელი. მრევლს რაც გამოცხადებული აქვს საწესოზედ, უნდა მის წინააღმდეგი გამოეცხადოს, ე. ი. იმის მაგიერ, რომ შენი ნებაა, თუნდა მისცემ კრებულს საწესოს, თუნდა არ მისცემო, უნდა გამოეცხადოს, რომ საწესო უეჭველად მიეცეს კრებულსა. რაც ადრე იქმნება ამისთანა გამოცხადება, ისა სჯობია, თუ ასე არ იქმნა, მაშინ კრებულს ერთად-ერთი საშუალება ჰრჩება და იძულებული იქმნება, ყოველ-დღე ამ საშუალებას მიჰმართოს. ეს საშუალება გახლავთ, საღმრთო მოქმედების დაკავება.

სასულიერო მთავრობას ადვილად შეუძლიან ჯამაგირების სამრევლოს რაოდენობის შედარებით განაწილება. ამას დიდი ტარ-ჰრელი კოვზი არ უნდა და სამართლიანობა-კი მოითხოვს.

მე აქ თავად-აზნაურობაზედ არა ვსთქვი-რა, რადგანაც იმედი მაქვს, სასულიერო გამოცემანი ჩემზედ უკეთესად და სრულებით განმარტავენ ამ საკითხსა.

ი.

## რუსეთის ცხოვრება.

გუშინ „მოსკ. ვედ.“ გულს იმშვიდებდნენ იმითი, რომ იანოვსკის პროექტი კლასიკურის ენების გაუქმების შესახებ მარტო კავკასიას შეეხებაო და დღეს-კი ისევ გული უწუხს იმავე გაზეთს, რა-კი დარწმუნებულა, რომ იმ პროექტს მარტო კავკასია კი არა აქვს სახეში, არამედ მთელის რუსეთის კლასიკური გიმნაზიები.

ვერ გაუგია გაზეთს, რა აიძულებს პროექტის ავტორს ყველა სასწავლებლებში პირველი 4 კლასსი ერნაირად მოაწყოს. ამ ნაირის პროექტით სულ აირევა საქმეო. ვერ გაარჩევს ადამიანი მაშინ, რა განსხვავება ექმნებათ ერთმანერთში სასოფლო, საქალაქოსა და სხვა სასწავლებლებსაო.

ერთის სიტყვით, მკვახედ ეკითხება გაზეთი, რამ მოაფიქრა პროექტორს კლასიკურ გიმნაზიებში პირველის ოთხის კლასის საზოგადო განათლების კლასებათ გადაკეთება, თუ არ იმ განზრახვამ, რომ კლასსიკურის სისტემის დამარხვა სწადიანო!

8 თებერვალს სამეურნეო საბჭომ პეტერბურგში განიხილა პროექტი სეტყვისაგან მამულების დაზღვევისა. ეს პროექტი ცალკე კომისიამ განიხილა და თავისი აზრი 6 მუხლად დაადგინა. კომისიის აზრით სეტყვისაგან დაზღვევის საქმე უთუოდ მთავრობამ უნდა იკისროს, თუმცა-კი კერძო პირთაც არ აღეკრძალებათ თავიანთი საკუთარი საზოგადოება იყოლიონ. მთავრობას ამ საქმეში მხარი ერობამ უნდა მისცეს. საზოგადოდ კომისიის დიდი ალაგი დაუთმია ერობისათვის ამ საქმეში. კასსები ერობებს ექმნებათ გამართული. ერობის სხვადა-სხვა კასსებს შეეძლიანთ ერთმანერთს დაესესხონ გაჭირვებაში. თუ საქმე უფრო გაუჭირდათ, მაშინ სახელმწიფო ხაზინაც დაეხმარება.

საზოგადოდ კომისიის აზრის განსახორციელებლად ერობა ერთობ საჭირო არის და რაღა თქმა უნდა, ძნელი იქმნება დაზღვევის საქმე დამყარდეს ისე კარგად, როგორც კომისიას უნდა, იქ, სადაც ერობა არ არსებობს, როგორც ჩვენშია.

—

გაზ. „ხარ. გუბ. ვედ.“-ში მოყვანილია ბრძანება, რომელიც კიევის სამხედრო ოლქის უფროსს გენერალს დრაგომიროვს გაუცია 28 იანვარს. „ადამიანს უნდა ახსოვდეს ის გარემოება, რომ ხან-და-ხან წარმოთქმული სიტყვა—თვით საქმეს უდრის ხოლმე—და ყოველს წამს მზად უნდა იყოს, პასუხი აგოს წარმოთქმულს სიტყვაზედ. სამხედრო მსაჯულს, პოლკოვნიკს მ., ვუცხადებ ჩემს უკმაყოფილებას, რადგან ბეჭდვით ისეთს საქმეს შეეხებია, რომლისაც მას არა გაეგება-რა. ვაფრთხილებ ყველას, რომ, ვისაც ღონე არ შესწევს, სამხედრო საქმეებზედ არა დაჰბეჭდოს-რა; სულ სხვა, კერძო პირზედ ლაპარაკი: იქ პასუხის-გება კიდევ თავისებურია.“

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ამ ჟამად რუსულს ჟურნალ-გაზეთებში დიდი ლაპარაკი ატეხილა იმის შესახებ, თუ რა ღონე იხმარონ, რომ ხორბლის ფასმა მოიმატოს. ბევრმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ ხორბლის ფასი ვერ აიწევს, თუ არ შემცირდა იმისი წარმოებაო, ერთობ ბევრი ხორბალი მოჰყავთ დედამიწის ზურგზედ და ამან დასწია ფასიო. საქმეში ჩახედებულნი ურჩევდნენ მემამულეთ პირუტყვის მოშენებას მიჰყავით ხელიო.

დღეს „მოსკ. ვედ.“-ში პროფ. კულეშოვის წერილში მოყვანილია ზოგიერთი ცნობანი პირუტყვის მოშენების შესახებ რუსეთში.

სწორედ სატცარი მოვლენა არის ის გარემოება, რომ თუმცა რუსეთში 140 მილლიონი პირუტყვია, რუსეთიდგან გააქვთ გასასყიდად მხოლოდ 2 მილლიონის სხვა-და-სხვა პირუტყვის ხორცი, 3—5 მილლიონის მანეთის ცხენები, სხვა სხვილ-ფეხი პირუტყვი, ღორი და ცხვარი, მხოლოდ 2—3 მილლიონის მანეთისა, ცხენის კუდები და ფაფრები—2 მილლიონისა და ჯაგარი 7—11 მილლიონისა.

ბოლოს ბ. კულეშოვი დასძენს.

საზღვარ გარედ ქონის ფასმა ძლიერ იკლო, ამიტომ უნდა ვეცადნეთ ცხვრის კონსერვები გავგზავნოთ ხოლმე საზღვარ გარეთაო.

თუ მართლა ხორბლის მოყვანა ისე სასარგებლო აღარ არის და პირუტყვის მოშენებას უნდა მიჰყონ ხელი. ამიერიდგან მემამულეებმა მეტი არ არის, ვიცოდეთ ხოლმე, რა გასავალი და რა ბაზარი აქვს პირუტყვსა.

## უცხოეთი

—

**ლონდონი.** ამას წინად სამინისტროს მდგომარეობა ყველას საეჭვოდ მიაჩნდა და ეხლა-კი ამ სამინისტრომ მოულოდნელად ფეხი ისევ მაგრად მოიკიდა. პარლამენტში ასტყდა ბაასი ინდოეთის შესახებ. სამინისტრომ საჭიროდ დაინახა ინდოეთის ინტერესები დაიცვას. ამ განზრახვაში მას მხარი კონსერვატორებმაც მისცეს. თუმცა კი, სამაგიეროდ, სამინისტროსადმი უკმაყოფილება ლანკაშირის დეპუტატებმა წარმოადგინეს. ლანკაშირი ბუნებრივის სიმდიდრით არ ჩამოუვარდება ინდოეთსაო, ამტკიცებდნენ ისინი და თუ ინდოეთს შეღავათები მიეცით, ლანკაშირის ინტერესები ამით შებღალულ-იქმნებიანო.

პარსი ნაორჯიმ წარმოსთქვა, რომ ინდოეთი ინგლისს ერთიგროშსაც არ უღირსო და სამაგიეროდ-კი მილლიარდებით მოგება უნახავს იქიდგან ინგლისსაო. ნაორჯის აზრით ინგლისსა და ინდოეთს შუა მკვიდრი კავშირი არ უნდა დაირღვესო, თუმცა-კი ინგლისი დედი ნაცვლობას არ უნდა უწევდეს ინდოეთსაო.

უნიონისტმა გოშენმა მშვენიერად განმარტა ის საგანი, რომ ინდოეთი არ უნდა დანაწილდეს. საზოგადოდ გოშენს ეტყობოდა, რომ მას დ...სის მეთაურობა უნდა; იქმნება მართლაც ამ მოკლე ხანში პარლამენტში დასთა ახალი დანაწილება მოხდეს.

═

**ინგლისი.** გუშინდელს ნომერში ჩვენს მკითხველებს გავაცანით ლაბუშერის სიტყვა, სადაც თავისს თავს ვირს ადრის. ლაბუშერის მიერ წარმოთქმული სიტყვა უმნიშვნელოდ არ დარჩა და ახლა კემბელ-ბენნერმა სთქვა მის წინააღმდეგ სიტყვა, რომელშიაც ლაბუშერის მიერ მოყვანილს შედარებას კილი გამოუძებნა და აღნიშნა, რითი განირჩევა ვირი ლაბუშერისაგან.

„ვირსაო, სთქვა მინისტრმა, არა აქვს ის მჭევრმეტყველება და ელვარება, რომელიც ლაბუშერს აქვს, მაგრამ არც ლაბუშერს აქვს ის სულის სიმშვიდე და მოთმინება, რომლითაც ვირი განირჩევა სხვა ცხოველებისაგანაო“.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

მომავალის საფრანგეთის მსოფლიო გამოფენისათვის (1900 წ.) უკვე შეუდგნენ თურმე მომზადებასა. შეადგინეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს გამოფენის გეგმისა და პირობების შემუშავება და აგრეთვე განხილვა სხვა-და-სხვა მხრიდგან წარმოდგენილის წინადადებისა სასურველის, სამხიარულო და საკვირველის შენობების აგების შესახებ. აი, სხვათა შორის, რა საკვირველებანი იქნება გაკეთებული ამ გამოფენაზედ.

ეიფელის კოშკზედ გაკეთებული იქმნება უზარმაზარი წყალვარდნილი და კოშკის სიმაღლიდგან გადმონაჩქეფი წყალი მოწყობილი იქმნება სხივოსან მად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგანიზმისათვის.

გაკეთებული იქნება ბუმბერაზი გლობუსი, რომელზედაც დახატული იქნება მთვარის ზედა პირი სრულის თავისის სახით? ამასთანავე საზოგადოებას შეეძლება იმოგზაუროს ამ ხელოვნურის მთვარის გარშემო.

გააკეთებენ რომაულს ცირკს და ისე მოაწყობენ, როგორც კლასიკურს დროსა ყოფილა მოწყობილი.

ააგებენ „რუსულს მთას",400 მეტრის სიმაღლისას, რომლის ქედზედაც გამართული იქნება თეატრი და სასტუმრო.

ერთი შენობა ორად განიყოფება და შიგ მთელის დედა-მიწის მცხოვრებლების ეთნოგრაფიული გამოფენა იქნება მოთავსებული.

გაკეთებული იქნება თვით-მმოძრავი ფარდული და შიგ მყოფთ შეეძლებათ გაუნძრევლად გამოფენის მთელი მოედანი დაათვალიერონ. ამ ფარდულის მომგონს განზრახვა აქვს მმოძრავი ქუჩაც გააკეთოს.

გაკეთებული იქნება პონორამა მთელის ქვეყნის შესანიშნავის ადგილებისა, ქალაქებისა და სოფლებისა. პონორამა მმოძრავი იქნება და მაყურებელი მთელის დედამიწის იზურგზედ მოგზაურებს.

დასასრულ კომისიას წარუდგინა საფუძვლიანად შემუშავებული პროექტი ყანნა დარგის სახელობაზედ დასაარსებელ გამოფენისა.

—

გაზეთ „L' économiste Française"-ში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობები იმის შესახებ, თუ რა მეტოქეობას უწევენ ერთმანერთს რუსეთისა და ამერიკის ნავთის მწარმოებელნი მსოფლიო ბაზარში. აი სია, სად რომელი ქვეყნისა და რამდენი ნავთი იხმარება.

| | ამერიკ. ნავთი | რუს. ნავთი |
|---|---|---|
| ესპანიასა და პორტუგალიაში | 100% | —% |
| ავსტრიაში | —" | 100" |
| გერმანიასა, ბელგიასა და ნიდერლანდიაში | 90" | 10" |
| ოსმალეთში | 10" | 90" |
| იტალიაში | 62" | 38" |
| საფრანგეთში | 77" | 23" |
| ინგლისში | 69" | 31 |
| ინდოეთში | 38 | 62 |
| ჩინეთში | 71 | 29 |
| იაპონიაში | 75 | 25. |

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

ბატონო რედაქტორო!

გაზეთ „ივერიის" მე-20 №-ში, ამ წლის იანვრის 27, იყო დაბეჭდილი მასწავლებლის მიმიკოვის წერილი, რომლითაც მიმიკოვს ჰსურდა, რომ ის ქალი მალად შეერთო ცოლად და ნიშნად ოქროს „ბროშკაც" მისცა. ეს ნიშანი რომ მალით მიუცია, ეს იქიდგან სჩანს, რომ როდესაც მოსწავლე მარინდოვისა სასწავლებელში მოუყვანიათ, მაშინვე მ—სას „ბროშკა" სასწავლებლის უფროსთან აუტანია. რად აუტანდა, რომ ქალის ნება ყოფილიყო, შეინახავდა, როგორც განძს ბ. მ—კო. ამ ამბავს ზემოხსენებულს წერილზედ მასწავლებელი მიმიკაშვილი თავის გასამართლებლად სწერს თქვენის გაზეთის № 26 (ნომერში), ხოლო გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" იგივე უფრო ვრცლად და ანგელოზებრივ მართლულობს თავს; მეტი რაღა დაჰრჩენია... ჩვენ, მარინდოვის ნათესავებმა და პირადად მეც, აპეკუნმა და ბიძამ ამ ქალისამ, ვიკმაროთ გაზეთში გამოაშკარავება მასწავლებლის მიმიკოვის საქციელისა და გვეგონა, რომ მიმიკოვი, როგორც დამნაშავე, კრინტსაც არ დასძრავდა, მაგრამ ეს ბატონი, როგორც ხშირად მოსდება ხოლმე, რაკი მტყუანია, უფრო ცხარედ მართლულობს თავს (ხალხის თვალში) და თავიდგან ბოლომდის უარსჰყოფს, ვითომ ჭორი და ცილის წამება გახლდეთ იმის შესახებ ნათქვამი.—ერთის სიტყვით, მოკლედ რომ ვსთქვათ, ნ. მიმიკოვს მარტო გაუცვნია მ—ვის ქალი, ისიც შემთხვევით; დანიშვნაზედ და მალით ბროშკის მიჩერებაზედ-კი არას ჰბრძანებს. ამ შემთხვევის გამო ქალი დღესაც ჭკუაზედ ვერ მოუყვანია და ავად არის. რაც შეეხება მ—სავან მაჭანკალისათვის 400 მ.—სასყიდლის დაპირებას, ამას დავიმტკიცებთ მარინდოვის საკუთარი წერილი, რომელსაც ამასთანვე წარმოგიდგენთ დასაბეჭდად, თუ შესაძლებლად სცნობთ.

ბ. მიმიკოვი თავისს მაჭანკალს მანდილოსანს ეძახის, რომელიც გვარად მაგდა ერკენლია და, ვინც არის ეს მაგდა, ხაშმელები კარგად იცნობენ.—მ—ვის ქალისათვის თავი მოუბეზრებია ამ მაჭანკალს, მთელი კვირა უკლია მასთან სასწავლებელში და ბოლოს, 4 იანვარსკა, გაუტყუებიათ მ—ს ქალი, და ამდენს წვალებას მაგდა მუქთად არ იკადრებდა.

ბ. მიმიკოვი ამბობს, 31 დეკემბერს ვიყავი ჩემს ნათესავ გურგენიძესთანაო, სადაც მარინდოვისა გავიცანი, როგორც ტოლ-ამხანაგი მღ. გურგენიძის ქალისაო. მაშასადამე, თუ მართლა 31 დეკემბერს იყო წაყვანილი მარინდოვისა, იგი ყოფილა მღ. გურგენიძის სახლში 8 დღე, ნამდვილად-კი, როგორც ქალის წერილიდგან სჩანს, ის წაუყვანიათ 4 იანვარს და სამი დღე ყოფილა მღვდელ გურგენიძესთან, ბოლოს მიმიკოვიც ჩამობრძანებულა. რომ ეს მართალია, ვსთხოვ ეპარხიალურ სასწავლებლის უფროსს და მართველობას, მოგვცეთ პასუხი ამაზედ. შემდეგ ბ. მიმიკოვი სწერს: ბიძა მოვიდაო (ვითომ მღვდლის გურგენიძის სახლში), მარინდოვისა დიდხანს ელაპარაკა, არ ვიცი-კი რაზედ და საშუალებაც ჰქონდა ქალი წასულიყოო, თუკი უსიამოვნობას ჰგრძნობდა რასმეო!?" დაგვისახელე, რომელი ბიძა მოვიდა გურგენიძის სახლში? იქნება მე ვიყავ, ან ჩემი ძმა და ან თვით ისაია ასრათაშვილი? თუ ჩვენ იმ დროს ერთ ერთი მოვხვედროდით მიმიკოვს, ვგონებ ამ ნაარ ოინებისთვის ის თავ მთელი არ გადაგვრჩებოდა და რომ მღვდლის გურგენიძის სახლში არც ერთი ბიძა არ ყოფილვართ, ბედი ყოფილა მიმიკოვისა!..

თუ ეს საქმეები ბ. მიმიკოვის დავალებით არ მოახდინეს თვით მაჭანკალმა და მღვდელმა გ—ძემ, რატომ წინად არსად მიუწვევია მარინდოვისა გ—ის ქალს თავიანთსა? ეხლა მიიწვია და რადა ბ. მ—ვიც იქ დახვდა? მარინდაშვილისა სწერს, რომ გ—ძის ქალს გაუტყუებია იგი სასწავლებლიდგან და თავისის დარიგებით და ჩაგონებით ჰმოქმედებდა გ—ძის ქალი, თუ მამისა? რაში ეჭირებოდა მ. გ—ძეს მარინდოვის სტუმრობა?

სიცრუე მასწავლებელ მიმიკოვისა იქიდგანაც სჩანს, რომ რუსულს გაზეთ „ნოვ. ობოზრ."-ში დაწერილი და «ივერია»-ში დაწერილი შინაარსით ერთმანერთს არ ეთანხმება. რა შესაფერი იქნებოდნენ 13 წლის ქალი და მ—ვი? სხვებს მაინც ჰკითხავდა ბ. მიმიკოვი. მარინდოვის ქალი ბ. მი—ვს ხომ შვილად შეჰფერის.

თუმცა პროკურორთან ვერ შევიტანეთ საჩივარი, რადგანაც მოსწავლე ყმაწვილისთვის ყოვლად შეუძლებელი იყო სამსჯავროში სიარული. ამის გამო ვარჩიეთ საჩივრები მღვდ. გ—ძეზედ საქართველოს ეგზარხოსთან ბ. მიმიკოვზედ—კიდევ კავკასიის სასწავლო მზრუნველთან შევიტანეთ, სადაც გამოძიება სწარმოებს. თუ მართალი ბრძანდები, ბ. მ—კო, გამოჩნდება, როდესაც გადაწყვეტილებას გამოვაცხადებთ „ივერიის" შემწეობითვე. ამასვე ვსთხოვ „ნოვ. ობოზრ."-ს გადაჰბეჭდოს თავისს გაზეთში, როგორც ჩვენი პასუხი ბ. მ—ვის პასუხზედ, რომელიც იყო დაბეჭდილი ამ 5 თებერვალს **№ 3815.**

აპეკუნი ბიძა ალექსი გოდერძოვი.

ს. ისაია ასრათაშვილი.

—

ამ წლის „ივერიის" მე 28 №-ში წავიკითხე შენიშვნა, რომ რუსული სახალხო წიგნი „დიოგენი" ქართულად უთარგმნია გ. მარგალიტაძეს და კიდეც აპირებს გამოცემას იგიო. ეს წიგნი კარგა ხანია რაც გადმოვთარგმნე ქართულად და უკვე დამზადებულიცა მაქვს დასაბეჭდად. ამისათვის, ვსთხოვთ გ. მარგალიტაძეს თუ დამთავრებული არა აქვს ამ წიგნის თარგმანი, თავი დაანებოს და თუ უკვე მზადა აქვს, იმ შემთხვევაში, რომ ტყუილად არ დაიკარგოს ჩემი შრომა, ერთმანერთს შევადაროთ ორივე თარგმანი და ისე დაიბეჭდოს. იმედია, პასუხს შეგვატყობინებს ბ. გ. მარგალიტაძე ამის შესახებ.

ქუთ. სას. სასწავლებლის მასწავლებელი
კორნელი მაღრაძე.

ქ. ქუთაისი
14 თებერვალი.

—

ბ-ნო რედაქტორო!

ამასთანავე გიგზავნით 3 მანეთს და გთხოვთ გარდასცეთ ქართულ ზეპირ-გადმოცემების ფონდის სასარგებლოდ.

დიდად მოხარული ვარ, რომ ეს მცირედი წვლილი მოჰხმარდება იმისთანა დაუფასებელის განძის შეკრებას, როგორიც არის ზეპირ-გადმოცემები, გამომსახველი ერის ცხოვრებისა, ღირსებისა და ვინაობისა.

ვლ. ყიფიანი.

1895 წ. 12 თებერვალი.
დ. ბორჯომი.

### პეტერბურგის ბირჟა, 17 თებერვალი

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 7,43 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა | — „ | — ,, | 207¼ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა | — ,, | — ,, | 101¾ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა | 101 | — ,, | — ,, |
| 5% იმავე ბანკისა | 99 | — ,, | — ,, |
| 6% ტფილისის სათავად აზნაურო ბანკისა | 101 | — ,, | — ,, |
| 5% იმავე ბანკისა | — ,, | — ,, | 99 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — ,, | — ,, |

### „ივერიის ფოსტა"

**აბუკინოს.**-ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზების გამო თქვენი წერილი აფხაზთა შესახებ სამწუხაროდ ვერ დაიბეჭდება.

—

№ №. თუ რუსული არ იცოდით, ვინ გატანდათ ძალას, თქვე დალოცვილო, რომ თავს იწუხებდით. აბა რა მოსაწერი იყო შემდეგი წერილი: „г. редактору прашу Васъ поместитъ вашему газету въ какому нибудъ номеру это историй. ხოლო რა შინაარსისა იქნებოდა ეს „это историй", ამისი გარჩევა მკითხველებისათვის მიგვინდვია.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩ. ქალი ა.** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩ.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)



ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების მმართველობა უცხადებს წევრთ, რომ კვირას, ამა წლის 19 მარტს, დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება, დილის 10 საათზედ, ფოთის საქალაქო საბჭოს სადგომში.

1) 1894 წლის ანგარიშის განსახილველად და დასამტკიცებლად.

2) 1895 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

3) სამის წლით მმართველობის სამსახურ-შესრულებულის დირექტორის სამაგიეროს არჩევა.

4) საბჭოს ორის დეპუტატის ასარჩევად, სამსახურ-შესრულებულთა მაგიერ.

5) სარევიზიო კომისიაში სამის წევრისა და სამის კანდიდატის ასარჩევად.

საზოგადოების მართველობა სთხოვს ბ.ბ-ნთ წევრთ, რომელთაც კენჭის ყრაზედ რწმუნების ქაღალდი ექმნებათ, ეს ქაღალდები, საზოგ. წესდებ. მე-36 § ძალით, წარმოადგინონ მმართველობაში სამის დღის წინად, ვიდრე საზოგადო კრება დაიწყებოდეს, ე. ი. არა უგვიანეს ამა წლის 16 მარტისა.



# „ივერია"

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 1 | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქი გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზაუნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქციის იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილაისა . . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 60 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |

დიდი სააბრეშუმო ქარხნები **მოლტიფაოში:** (კორსიკის კუნძულზედ, საფრანგეთში) **აბრეშუმის ჭიისა** ცელიულიარული **თესლი** (პასტერის სისტემით მომზადებული).

**ი. ალოიზისა**.

მსყიდველთ შეუძლიანთ თესლი დაიბარონ ტფილისიდგან, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისაგან და ქ-ნ დ. სულხანიშვილისაგან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 39, თესლი ისყიდება 3 და 5 მისხლიან კოლოფებით; მისხალი 60 კაპეიკად.
(6—869—2)

**ცხოვრება**

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

# ბ ა ლ ა ნ ს ი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 1 იანვრისათვის 1895 წლისა.

**ა ქ ტ ი ვ ი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასაში . . | 62,246 | 74 | | |
| გირაოს ფურცლებად. . . | 129,000 | — | | |
| კუპონების ახალ შესაცვლელ ფურცლ. | 21,540 | — | | |
| გასაუქმებელ გირავნობის ფურცელთ | 15,700 | — | 228,486 | 74 |
| ძველ ტალონებად . . . | 120,641 | 46 | | |
| 2) მიმომდინარე ანგარიშებზედ სხვა-და-სხვა ბანკში . . . . . | 131,180 | 66 | | |
| 3) კორესპონდენტებთა . . . | | | | |
| ს.-პეტერბურგის თამასუქების გამანაღდებელ და გამსესხებელ ბანკში 55.4858—41 | | | | |
| გოლდლუსტთან . . . | 31 | 03 | | |
| ვარშავის საკომერციო ბანკში. . | 3,623 | 48 | | |
| ო. ხაის ოდესაში . . . | 388 | — | | |
| ლიონის კრედიტი . . . | 7,750 | 63 | | |
| მოსკოვის თამასუქების გამანაღდებელ და გამსესხებელს ბანკში . . | 10,114 | — | | |
| პეტერბურგის კერძო საკომერ. ბანკში | 20,220 | — | 593,949 | 26 |
| 4) საწევრო ფული ტფილისის ურთი ერთ შორის ნდობის საზოგადოებაში . | — | — | 60 | 57 |
| 5) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და მთავრობის გარანტიის ქაღალდები, შენახულნი სახელმწ. ბანკის ტფილ. განყოფილებაში 89,600 | 84,306 | 92 | | |
| ბ) სხვა სარგებ. ქაღალდები 81,050 | 87,833 | 69 | | |
| გ) კორესპონდენტებთან 110,800 | 105,133 | 43 | | |
| % ქაღალდ. გამოსაცემ გირავნ. ფურც. უზრუნველ-საყოფელად . . | 188,000 | — | | |
| % იმათი. . . . . | 1,054 | 24 | 466,328 | 28 |
| 6) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით: | | | | |
| ა) მამულის გირაოზედ $54^1/_2$ წლით . . . . . 150,957—49 | | | | |
| ბ) მამულის გირაოზედ $43^1/_2$ წლით . . . . 140,542—86 | | | | |
| გ) ქალაქის უძრავ ქონებაზედ გირაოდ $27^1/_2$ . . . . 81,288—52 | 372,788 | 87 | | |
| ვადაზედ გარდახდილი სესხი . | 5,111 | 13 | 377,900 | — |
| ვადამდე გადახდილი სესხი . . | | | | |
| 7) დიდ ვადიანი სესხნი, რომელნიც გამოცემულნი არიან ბანკის 17 თებერვლის 1881 წლის წესდების ძალით გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთი-ერთს შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა) მამულის გირაოზედ 61 წლით და 8 თვით. . . 1.823,814—76 | | | | |
| ბ) მამულის გირაოზე 48 წლით და 8 თვით. . . . 10,196—35 | | | | |
| გ) მამულის გირაოზედ $43^1/_2$ წლით . . . . 820,748—93 | | | | |
| დ) ქალაქის უძრავ ქონებაზედ გირაოდ 36 წლით და 4 თვით 8.780,272—99 | | | | |
| ე) ქალაქის უძრავ ქონებაზედ გირაოდ $27^1/_2$ წლით . . 2.743,347—43 | | | | |
| ვ) „ „ 29 წ. 9 თ. 43,698—09 | | | | |
| ზ) „ „ 19 წ. 11 თ. 134,903—55 | | | | |
| თ) „ „ 54 წ. 6 თ. 4,552—58 | 14,361,534 | 68 | | |
| ვადაზედ გარდახ. სესხი 103,687—97 | | | | |
| ვადამდე გარდახ. სესხი 67,977—35 | 171,665 | 32 | 14,533,200 | — |
| 8) სესხნი, გასაცემად დანიშნულნი . | — | — | 131,200 | — |
| 9) გირავნობის ფურცელნი, რომელნიც გამოცემულ. არიან კონვ. მონდ. სესხით | — | — | 188,600 | — |
| 10) გარდასახადი, რომელსაც ჰქონდა შეღავათი (§ 13 წესდებისა): | | | | |
| ა) დიდ-ვადიანს სესხზედ . . | 394,936 | 59 | | |
| ბ) მცირე ვადიანს სესხზედ . . | 5,656 | 95 | 400,593 | 54 |
| 11) ვადას გადაცილებული შესატანი | — | — | 66,271 | 64 |
| 12) შესატანი, რომელიც დანაწილებ. | — | — | 2,287 | 40 |
| 13) ჯარიმა ვადაზედ შემოსატანის დაგვიანებისათვის . . . | — | — | 12,130 | 85 |
| 14) მცირე ვადიანი სესხნი . . | — | — | 273,382 | — |
| 15) საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცლები 341,700 . . | — | — | 310,660 | — |
| 16) დასაბრუნებელი ხარჯი . . | — | — | 44,283 | 97 |
| 17) 5% ნი სახელმწიფო გარდასახადი კუპონებისა. . . . | — | — | | |
| 18) კუპონებსა და ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებში გარდახდილი | — | — | | |
| 19) ხარჯი: | | | | |
| ბანკის მომართვა-მოწყობისათვის . | 2,083 | 18 | 27,960 | 24 |
| „ გამგეობა-მმართვისათვის . | 25,708 | 75 | 27,791 | 93 |
| 20) ტფილისის სათავად აზნაურო და წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სასწავლებლის ხარჯი, რომელიც დაბრუნებულ უნდა იქმნეს საზოგადოების თანხიდგან. | — | — | 21,220 | 88 |
| **ბ ა ლ ა ნ ს ი** | | | 17,706,307 | 30 |

**პ ა ს ს ი ვ ი**

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული. | | | | |
| ა) დიდ-ვადიანის სესხისათვის . . | 189,562 | 18 | | |
| ბ) მცირე ვადიანის სესხისათვის . . | 212,668 | 98 | 402,231 | 16 |
| 2 სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა) სესხისა, რომელიც გაცემულია: 28 მაისის 1874 წლის წესად. ძალით. . | 31,503 | 10 | | |
| ბ) ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა. . , . . . | 153,815 | 79 | 185,318 | 89 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის: . | — | — | 96 | 60 |
| 4) ზედამხედველის კომიტეტის ხელშია . | — | — | 3,203 | 98 |
| 5) საყოველ შემთხვევო თანხა . . | — | — | | |
| 6) გირაოს ფურცლები დისახურდავებლად გაცემულნი 28 მაისის 1874 წლით წესდების ძალით: | | | | |
| $54^1/_2$ წლით . . . . | 150,600 | — | | |
| $43^1/_2$ „ . . . . . | 142,600 | — | | |
| $27^1/_2$ „ . . . . . | 84,700 | — | 377,900 | — |
| 7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნი არიან ურთიერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | | | | |
| $6\%$—$43^1/_2$ წლით . . . | 790,750 | — | | |
| $6\%$—$27^1/_2$ წლით . . . | 2,602,750 | — | | |
| $5\%$—61 წ, და 8 თვით. . . | 121,800 | — | | |
| $5\%$—48 წ. და 8 თვით. . . | 6,300 | — | | |
| $5\%$—36 წ. და 4 თვით. . . | 1,023,000 | — | | |
| $5\%$—29 წ. და 9 თვით. . . | 26,600 | — | | |
| $5\%$—უვადოდ . . . . | 9,870,200 | — | 14,441,400 | — |
| 8) გირაოს ფურცლები ტირაჟში გამოსულნიმ ჯამისა, რა-ჯამიც წესდების 88 § ძალით გადადებულ იყო არავალდებუ ბულის თავნის გადასლისათვის . . | — | — | 91,800 | — |
| 9) გირაოს ფურცლები, გამოსაცემად დანიშნულნი . . . . . | 4,000 | — | | |
| 10) გირაოს ფურცლები, ექსპედიციის მიერ გამოცემულნი . . . . | 127,200 | — | 131,200 | — |
| 11) გირაოს ფურცლები მთბარებულნი . | — | — | 2,400 | — |
| 12) ვადამდე მოსასპ. დანიშნულნი სესხნი: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით. . . . | 37,800 | — | | |
| ბ) ნაღდის ფულით . . . . | 67,977 | 35 | 105,777 | 35 |
| 13) ტირაჟში გამოსული გირაოს ფურცლები, ჯერ წარმოუდგენელი გადასახდელად: | | | | |
| $6\%$ . . . . . . | 437,750 | — | | |
| $5\%$ . . . . . . | 197,700 | — | | |
| $6\%$ გირავნობ. ფურცლები რომელნიც ტირაჟ. გამოვ. 1 იანვრის. . | 48,600 | — | 684,050 | — |
| 14) გირაოს ფურც, გადასახ. კუპონები: | | | | |
| $6\%$ . . . . , . | 117,985 | 60 | | |
| $5\%$ . . . . . . | 278,203 | — | 396,188 | 60 |
| 15) სარგებლის ფონდი: | | | | |
| $6\%$ . . . . . . | 113,142 | — | | |
| $5\%$ . . . . . . | 276,331 | 41 | 389,473 | 41 |
| 16) თავ. გასასტუმ. ფონდი არა ურთიერთ შორის თავდებ. გაცემულ სესხისა: | | | | |
| $54^1/_2$ წლით . . . . | 640 | 92 | | |
| $43^1/_2$ „ . . . . . | 1,072 | 21 | | |
| $27^1/_2$ „ . . . . . | 3,398 | — | 5,111 | 13 |
| 17) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თავდებობით: | | | | |
| $6\%$—$43^1/_2$ წლით . . . | 3,792 | 14 | | |
| $6\%$—$27^1/_2$ წლით . . . | 38,159 | 95 | | |
| $5\%$—61 წ. და 8 თთვით . . | 199 | 30 | | |
| $5\%$—48 წ. და 8 თთვით . . | 4 | — | | |
| $5\%$—36 წ. და 4 თთვით . . | 6,311 | 51 | | |
| $5\%$—29 წ. და 9 თთვით . . | 174 | 94 | | |
| $5\%$—უვადოდ . . . . | 55,046 | 13 | 103,687 | 97 |
| 18) თავნის გასასტ. ფონდი არა სავალდებულო გადასახ. იმ გირაოს ფურც. რომელნიც ურთიერთ შორის თავდ. პირობით არიან გამოცემულნი . . . | — | — | 89 | 28 |
| 19) გადამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით . . . . , | 30,881 | 42 | | |
| ბ) გირაოს ფურცლებით. . . . | 88,800 | — | | |
| გ) შესატანი, რომელიც წინადვე გადაუხდია სესხის ამღებთ . . . | 188 | 84 | | |
| დ) სახელმწიფო სარგებ. ქაღალდებით . | 450 | — | 120,320 | 26 |
| 20) მსესხებელნი . . . . | — | — | 10,496 | 93 |
| 21) თანხა დაფასების. და სხვ. ხარჯად. . | — | — | | |
| 22) მცირე ვადიან სესხის % ები . | — | — | | |
| 23) წმინდა მოგება . . . | — | — | 211,109 | 95 |
| 24) სხვა-და-სხვა პროცენტ. . . . | — | — | | |
| 25) კუპონის ახალი შესაცვლელი ფურც. | 21,540 | — | | |
| 26) ძველი გასაუქმებელი ტალონები . | 15,700 | — | 38,240 | — |
| $5\%$ სახელმწიფო გადას. კუპ. | — | — | 682 | 63 |
| $5\%$ გარდასახადი $60\%$ მოგებიდგან. | — | — | 6,529 | 17 |
| **ბ ა ლ ა ნ ს ი** | | | 17,706,307 | 30 |

Дозвено цензурою, Тифлисъ 15-го Февраля 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.